

# 24 საათი

## თბილისელთა არჩევანი სარდაფიდან ამოიტანეს

თბილისი მკვლელი

თბილისის ბიულეტენების გადათვლა, როგორც მოსალოდნელი იყო, ხმაურითა და საპროტესტო განცხადებებით დაიწყო. ცეცხლის "სოციალისტმა" ნევერმა, დენის დავითაშვილმა, კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ აბსოლუტურად არ ეთანხმება კომისიის მიერ მიღებულ გადათვლის წესს. მთავარი სიურპრიზი კი ცეცხლ-სახალხო პარტიის განცხადება – როგორც გაირკვა, გადათვლის "ყბადღებული" წესი მისმა ნევერმა უზენაეს სასამართლოში გადასწავლეს. "სახალხოელთა" განცხადებით, ისინი გადათვლის რამდენიმე პრინციპს არ ეთანხმებიან, რომელთაგან მთავარი გადათვლაზე ბიულეტენების ინვენტარიზაციის ჩატარებაა.

სამი პარტია – "სოციალისტები", "ედუკა" და "სახალხო" – კვლავ ეწინააღმდეგება ბიულეტენების გადათვლას. საგულისხმოა ისიც, რომ უზენაეს სასამართლოს ჯერ არ დაუნიშნავენ პროცესი, რომელზეც "სახალხოელთა" და "ედუკელთა" სასარჩელო განცხადება უნდა განხილდეს. შეგახსენებთ, რომ ორი პარტიის გაერთიანებული საჩრელო თბილისის საკრებულოს არჩევნების გაუქმებას ეხება.



პირველი ფოტო თავად ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ დააფიქსირა.

**ქართველი და აფხაზი პარლამენტარები დიალოგის დაწყებას აპირებენ**

პარიკო თევზაძე

აფხაზეთის საკითხებზე მომუშავე დროებითა კომისიამ შეიმუშავა პროექტი, რომელიც ითვალისწინებს აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებას. დოკუმენტში, სხვა ძირითად საკითხებთან ერთად, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა აფხაზ და ქართველ ხალხებს შორის ურთიერთობისა და დროის აღდგენას. ამ შემთხვევაში იგულისხმება არა მხოლოდ სახალხო დიპლომატია, არამედ მჭიდრო კონტაქტების დამყარება აფხაზეთის ხელისუფლებასთან. პარლამენტის ვიცე-სპიკერის თანაშემწემ რაფიელ გულანტიამ "24 საათს" განუცხადა, რომ მომავალში მოსალოდნელია ქართულ-აფხაზურ ჯგუფებს შორის დიალოგი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოსა და აფხაზეთის პარლამენტის წევრები.

დროებითი კომისიის მიერ შემუშავებული დოკუმენტი ითვალისწინებს საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრას,

ბაბრძალაძე A3 ბაბრძალაძე

**რუსეთი უკვე 500-კილოგრამიანი ბომბებით**

პარალელურად გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის შესრულებაში დაგვიხმარება

ყაზა ნაღაძე

გუშინ, ვაშლინისას, დაახლოებით, ოთხი საათისთვის, ოთხმა "სუ-27" ტიპის გამანადგურებელმა, ცხინვლის ტერიტორიის გავლით, თბილისიდან სულ რაღაც 90 კილომეტრში ჩაიფრინა, ნაქერალს ქედთან, ხოროვის მთაზე ორმოცდათამდე 500-კილოგრამიანი ბომბი ჩამოყარა და რუსეთის მიმართულენით გაუჩინარდა.

"სოფელ ხროვანში (ვათაშვილეთის და აღმოსავლეთის რეაგირების ცხივრობის, საბუნების, არავინ დააღალღალა, თუმცა, ხალხი იმდენად შეშინებული, რომ სოფელიდან გაიხიზნენ და, ჯერჯერობით, უკან დაბრუნების უნარსაც არ აქვთ. უშიშროების სამინისტროს საგამომიძიებო სამსახურის უფროსმა მალხაზ სალავაიამ 29 ივლისის დაბომბვისგან განსხვავებით, რომელსაც სოფელ ჭონთისთან ახლოს რვა ცხვარი შეეწირა, ამჯერად ოფიციალური თბილისის პოზიცია შედარებით მაკარი იყო. საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთი "შეზღუდული სახელმწიფოს წინააღმდეგ აგრესიულ ქმედებებში" დაადანაშაულა.

ბაბრძალაძე A3 ბაბრძალაძე

**ზაფხულის პერიოდში საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების აქტივობა მნიშვნელოვნად მცირდება. ამიტომ აგვისტოში შემცირდება ჩვენი გაზეთის გვერდები რაოდენობაც.**

**"24 საათი" პირველ სექტემბრამდე რეგულარულად იქნება, შაბათობით კი, 16-გვერდიანი გამოვა.**

**პარლამენტარი ფოთის ბათისტაშვილის ნაციონალური წევრობის მოითხოვს**

A4

**ჭორბა ბაშაძე ხალი მოაწარა ქანონს კორპორაციული პასუხისმგებლობის შესახებ**

A4

**რუსებმა ახალი ჰუმანიტარული იარაღი გამოიგონეს**

A5

**არ დავიწყებთ, თუკი კონტროლირებთ 2 ლარს მოგთხოვთ!**

A6

**ბარდაბაში ცხოვრის ახალი ქარა დავიძლირება**

A6

**ბავშვს სწავლა უჭირს თუ არ ვაქაძლია?**

A6

**ძალადიანი მინისტრები თავდაცვისთვის მზად არიან**

A7

**აზიანი**

თბილისი	32	☀️
ქუთაისი	32	☁️
ბათუმი	32	☁️
სოხუმი	31	☁️
ფოთი	31	☁️
თელავი	31	☀️
ყუბოლი	32	☁️
გორი	29	☁️

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1850
ევრო	2.1413
გირვანქა სტერლინგი	3.4108
რუბლი	0.0694

## „ბაბიკვირდათ ჩემი მოსვლა?“

სახელმწიფო მინისტრი თავისუფლების ინსტიტუტს ესტუმრა

სოფო ბაქია

"გავიკვირდათ ჩემი მოსვლა? მინდა, თქვენი შეხედულებები გავიგო და თქვენთან ვითანამშრომლო"- განაცხადა ავთანდილ ჯორბენაძემ გუშინ "თავისუფლების ინსტიტუტში" სტუმრობისას.

"ტენდენცია შეიმჩნევა, ბოლო დროს ცხელ წერტილებში ხშირად დადიხარო", - უპასუხა ლევან რამიშვილმა.

სახელმწიფო მინისტრი სამიოდე კვირის წინათ დარბეულ "თავისუფლების ინსტიტუტში" სიტყვის, აზრისა და რწმენის თავისუფლებაზე სასაუბროდ მივიდა. მან საქართველოს ხელისუფლების გულსტკივილი გადასცა მასპინძლებს, 10 ივლისს "თავისუფლების ინსტიტუტის" ოფისის დარბევასთან დაკავშირებით, და დაზარალებულებს "მჭიდრო თანამშრომლობას" შეპირდა.

ყველაზე მთავარი, რისთვისაც ჯორბენაძემ "თავისუფლების ინსტიტუტს" ეწვია, მისი თქმით, საზოგადოების განვითარების პროცესის დაჩქარება და ამაში ხელისუფლების დახმარება არასამთავრობო სექტორისგან ელის. "არ შეიძლება, განსხვავებული აზრის მქონე სხვადასხვა სოციალური ფენები ერთმანეთს იმ მეთოდებით უსწორდებოდნენ, რისი მონაცემი "თავისუფლების ინსტიტუტის" შემთხვევაში გავხდით," - განაცხადა მან. თუმცა, მასპინძლებმა მას აქვე შეახსენეს, რომ "თავისუფლების ინსტიტუტი" დარბიეს არა აღუვლელდა მოქალაქეებმა, არამედ კარგად განვითარდა.

ბაბრძალაძე A2 ბაბრძალაძე

## დემოკრატიის გზაზე სერიოზული მხრეები ჩვენი უკიდურესი ეთნონაციონალიზმი

თითქმის ყველა უცხოელი ყურნალისტი და პოლიტოლოგი, რომელიც საქართველოში ერთხელ მანც ჩამოსულა, იცნობს ალექსანდრე რონდელს, ან მისი ახლო მეგობარია. საერთაშორისო ურთიერთობების კათედრის დამაარსებელი და ამ კათედრის პირველი დეკანი, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პოლიტიკური ექსპერტი, რომლის სახელი და გვარი ძალიან ხშირად ჩნდება გავლენიანი უცხოური გამოცემების ფურცლებზე.

თბილისში კი ალექსანდრე რონდელი, უბრალოდ, აღიკა რონდელია, რომელიც უყვარს ყველას, განსაკუთრებით კი, მის ყოფილ სტუდენტებს.

კინოსტუდიიდან აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტამდე

დედა ამირჯიბის ქალი იყო. მთელი ოჯახი 37 წლის რეპრესიების დროს დახვრიტეს. ამიტომ ჩემს

ოჯახში ყოველთვის კარგად ესმოდათ თავისუფლების ფასი. მამაჩემის ნამდვილი გვარი ცაგარევილია. 20-იან წლებში, როცა ახალგაზრდობა, ვერც ნოდებულები ახალი ინტელიგენცია, თბილისში ჩამოვიდა და ზოგმა პოეტობას, ზოგმა კი კრიტიკოსობას მიჰყო ხელი, ყველამ ფსევდონიმით დაიწყო წერა. ასე გახდა მამაჩემი დავით რონდელი და ასე გადმოვიყვამეც ეს გვარი.

ბაბრძალაძე A3 ბაბრძალაძე



ჩემს ოჯახში ყოველთვის კარგად ესმოდათ თავისუფლების ფასი.

## დიტრის გვერდები: "კავკასიაში დემოკრატია უკან იხივს"

ინტერვიუ გერმანიის ბუნდესტაგის ყოფილ წევრთან

დოქტორი დიტრის შპერლინგი თითქმის ოცდაათი წლის განმავლობაში (1969-1998) გერმანიის ბუნდესტაგის წევრი იყო. 1970-იან წლებში მონაწილეობდა დასავლეთ გერმანიის "ოსტპოლიტიკის" ჩამოყალიბებაში, რომელიც საბჭოთა კავშირთან ურთიერთობების გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად. გერმანიის ბუნდესტაგში შპერლინგი "საბჭოთა კავშირთან მეგობრობის საზოგადოების" პრეზიდენტი იყო.

ბუნდესტაგის მიტოვების შემდეგ დიტრის შპერლინგმა გადაწყვიტა, უფრო მეტი დრო დაეთმო კავკასიის პრობლემების შესწავლისთვის, რაც, მისთვის სიტყვით რომ ეთქვათ, მის "პოლიტიკურ ჰობის" წარმოადგენს. შპერლინგს კავკასიაში კონფლიქტების გადაწყვეტის გზების ძიება და დემოკრატიის განვითარების საკითხები აინტერესებს.

პირველად ბატონი შპერლინგი საქართველოში 1975 წელს ჩამოვიდა. პერესტროიკის დაწყებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ იგი სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს დიდი ყურადღებით აკვირდებოდა და რეგიონის ხშირი სტუმარი იყო.

დიტრის შპერლინგი ამჯერად "ბუნდესტაგის ფონდის" მოწვევით ორი კვირით ესტუმრა სამხრეთ კავკასიას და თბილისთან ერთად, ბაქო და ერევანიც მოინახულა. ეთავაზობო მის მოსაზრებებს რეგიონალური პოლიტიკის თაობაზე და შიდაპოლიტიკურ საკითხებს კავკასიაში დემოკრატიის განვითარების შესახებ. ინტერვიუს გიორგი ხელაშვილი უძღვებოდა.

ბაბრძალაძე A5 ბაბრძალაძე

## რეფორმას ყველა თავისკენ ქარავს

სოფიკო ჩხიძე

ძალიან სტრუქტურათა რეფორმირებაზე 10 წლის წინათ დაწყებული ლაპარაკი, შეიძლება ითქვას, დასკვნით ფაზაში შევიდა. თვით რეფორმის დაწყებამდე ერთი ამდენი დრო კიდევ იქნება საჭირო, თუმცა, რეფორმების კონცეფციაზე მუშაობა დასასრულს უახლოვდება და კონცეფცია სექტემბრის ბოლოს პრეზიდენტს უნდა წარედგინოს. თვით პრეზიდენტი უკვე ემყოფილია იმ დოკუმენტით, რომელიც ორი თვის შემდეგ დაიდება მის მავდაზე. მან ჯერ კიდევ ორშაბათის რადიო-ინტერვიუში შეაფასა ის კონცეფცია, რომლის დასრულებული ვარიანტის მიღებამდე ბევრი სამუშაო დარჩა. შეეარდნაძის თქმით, ეს პროექტი "ყველაზე მგრძობიარე სისტემაში ცვლილებების განსახორციელებლად პასუხობს თანადროულობას და სამართალდამცველი სისტემის ეტაპობრივ რეფორმირებას ითვალისწინებს." ამასთან პრეზი-

ბაბრძალაძე A7 ბაბრძალაძე













# თბილისელთა არჩევანი სარდაფიდან ამოიტანეს

პირველი გვარდიიდან

შექმნილი ვითარების დეტალური და ხმაურიანი განხილვის შემდეგ, ცესკო-ს თავმჯდომარემ გადათვლის პროცესის დაწყება ბრძანა. მედიას კი განუმარტა, რომ "ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უზენაესი სასამართლოდან ოფიციალური შეტყობინება არ მიუღია და ამიტომ ხმების გადათვლის პროცესს "სახალხოელთა" საჩივარი ხელს ვერ შეუშლის."

ბუნებრივია, ურთიერთობების გარკვევამ საკმაოდ დიდი დრო წაიღო. შესაბამისად, სარდაფის დალუქული კარის "საზეიმო" გახსნამ ნახევარი საათით გადაინია. პირველი ფუთა თავად ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ჯუმბერ ლომინაძემ "დააჭაშნიკა" - ფუთაში თავი ჩაყო და თავად დარწმუნდა, რომ მასში საარჩევნო ბიულეტენების გარდა სხვა არა იყო რა.

ამ საზეიმო პროცედურით სარდაფიდან ბიულეტენების ამოტანის

ოფიციალური ნაწილი დასრულდა და კომისიის წევრები საქმეს შეუდგნენ - ფუთების ამოტანა დაიწყეს და მათ ხაზინის მიერ გადმორიცხული თანხით შექმნილ ტომრებში ათავსებდნენ. ოქმში კი შესაბამისი ჩანაწერი კეთდებოდა. თუკი სარდაფიდან ამოტანილ ფუთაზე წესისა და რიგისამებრ მითითებული იყო ოლქისა და უბნის ნომერი, კომისიის წევრებს აშკარად სახე უნათდებოდათ. თუმცა, ორიოდ საათში გაირკვა, რომ უზენაესიდან შემოსული ბიულეტენების უმრავლესობა სწორად არ იყო დახარისხებული. თავად ფუთები კი, საკუთარი შიგთავსის შესახებ საკმაოდ მწირ ინფორმაციას "იუნყებოდნენ" - უკეთეს შემთხვევაში, მათზე მხოლოდ საარჩევნო უბნის ნომერი იყო მითითებული. 42 ფუთის ტომრებში გადატანის შემდგომ, ცესკოს პირველ მუშა ჯგუფს მეორე შეენაცვლა. ტომრები კი სხდომათა დარბაზში გადაიტანეს.

ჟურნალისტებთან ერთად ამ პროცედურას გულდასმით ადევნებ-

და თვალყურს ჯუმბერ ლომინაძემ. მან მოგვიანებით ფოტოაპარატითაც ისარგებლა და კომისიის წევრებს მუშა პროცესში გადაუღო სურათები.

ცესკო-ში ყველა თანხმდება, რომ 400 უბნიდან შემოსული ფუთების პროცედურას მინიმუმ ოთხი-ხუთი დღე დასჭირდება. შესაძლოა, მანამდე კომისიის წევრებს სასამართლო პროცესამაც მოუსწროს და "სახალხოელების" მიერ გაპროტესტებული გადათვლის წესი გაუქმდეს.

ცესკო-ს წევრებს ამაზე ფიქრიც კი არ სურთ. "რადგან დავინყეთ, დავამთარებთ კიდევ," - აცხადებენ ისინი.

და კიდევ: ინვენტარიზაციის პროცესს, ცესკო-ს წევრების გარდა, მხოლოდ "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები დაესწრნენ. რაც შეეხება ლეიბორისტებს, მათ კომისიაში საკუთარი წევრი ჰყავთ და, შესაბამისად, გუშინ დამხმარე ძალა არ სჭირდებოდათ.



არჩევანს იცავს პოლიცია.



თბილისელთა არჩევანი სარდაფიდან ამოაქვთ.



გაცხნათ, თუ არ გაცხნათ.




ბიულეტენების ტომრებში შედუთვა დიდ ძალღმ მოიხიოს.



ბიულეტენები ამოიტანეს - პირველი ინფორმაციები პარტიულ შტაბებში.

# მსოფლიო მხეთი ჰარი პოტერს ელოდება

თამარ ბაბუაძე



ფილმის გმირები: რონ უიზლი, ჰარი პოტერი და ჰერმიონა გრინგერი ავტორთან ერთად

არ უნდა გამკვირვებოდა, მაგრამ მაინც გამოკვირდა – შარშან ზაფხულს შვიცარია გაგიჟებული დამხვდა – ჯეი ქეი როულინგისგან გაგიჟებული. ციურისში ნიგნის თითოეული მალაზიის ვიტრინიდან ჰარი პოტერის სათვალე-ანი და ელდანაკრავი სახე მიყურებდა. „ო, რა ფანტასტიკურია!“, შეეკარებულე ვარ, „ბავშვობაში დამაბრუნა“, „ეროვნული თვითშეგნება ამიმაღლა“, - არა, მთლად ასეც არ იყო, ეროვნულ-განმათავისუფლებელ თემატკას არა-ეინ ავითარებდა, თუმცა, სხვა მხრივ, შვიცარია მართლაც ჭკუიდან შეშლილს ჰგავდა. ჰარი პოტერის გადამკიდე, შვიცარიას საყვარელი ლიტერატურული გმირი, ჰაიდვიც კი და-ვინებდა; აი, ისეთი საყვარელი გმირი, ყველა შვიცარულ გოგონას რომ ჰყავს ჰაიდვის თოჯინა...

არადა, ნიგნის გამოსვლიდან უკვე სამი წელი იყო გასული. იმედს ვიტოვებდი, დანარჩენი ევროპა მაინც მოასწრებდა-მეთქი ჰარი პოტერის მიერ ანენილი ნერვების დანყნარებას, მაგრამ ციურისში გულდასმით მარწმუნებდნენ, რომ ლონდონშიც ასე იყო და ედინბურგშიც, მადრიდშიც და მიუსენშიც...

ციურისში ჰარი პოტერის ნიგნი მაინც არ მიყვია, ამ პატარა დიდი ქალაქის (როგორც მას ეძახიან) გემოვნებას, საბოლოო ჯამში, მაინც ვერ ვენდე. მაგრამ, როცა რამდენიმე დღეში, ალპების მთებში მოქცეულ პატარა ქალაქ ბუხსში მოხვდი (მოსახლეობა: 10.157) და იქაც, ნიგნის პატარა მალაზიაში ისევ ის სათვალეანი, ელდანაკრავი ბიჭი შემომეფეთა, თანაც ინგლისური ნიგნის ყდიდან, უკვე მივხვდი, გლობალურ სენთან რომ მქონდა საქმე.

ჰარი პოტერს, ზოგადად, მსოფლიოს ფანტაზიებში, წარმოსახვებში შეეწინა და მისთვის მოსვენებაც დეკარავივითა... ამ ეფორიის ავტორს, ჯეი ქეი როულინგს კი ამასობაში მილიონები უშვია...

## არაფერი იცვლება

ამ ამბიდან ზუსტად ერთი წელი გავიდა, მაგრამ ისევ გაკვირებული ვარ – მსოფლიო ჰარი პოტერს კიდევ უფრო ერთვულად ეთავსება. მისი ბოლო, მეოთხე ნიგნი Barnes and Nobles-ის ბესტსელერებში მეორე ადგილზეა, ახალი ფილმის საშემოდგომო პრემიერას კი საზოგადოება სულმოუთქმელად ელოდება. როგორც მასკულტურაში საპატიო ადგილის მოპოვების შემდეგ ხდება ხოლმე, რეკორდული რაოდენობით იყიდება არა მარტო პოტერის ნიგნები, ვიდრე-კასეტებიც, ვიდრე-თამაშებიც და პოტერის სახელით გამოსული ათასი ნერლომანი – კალმები, მაისურები, კეპები, სპორტული ფეხსაცმელები. სხვათა შორის, ეს ფეხსაცმელი „გვპირდება“, რომ იგი ჰოგვარტის ჯადოსნობის სკოლაში ჩასაღვედვად საუკეთესო საშუალებაა – არ ცვდება და არაფერი...

ჯეი ქეი როულინგი, პირველ რიგში, დიდ ბრიტანეთში უყვართ. „ნიუ იორკ თაიმსი“ ჟურნალისტსაც ესაა-დება ლოკაციური კითხვა: ქვეყანაში, სადაც ლედი დიანას სახალხო პრინციცის უწოდებდნენ და სადაც ფეხბურთის და სანის ოპერის ვარსკვლავებს წარმართული კერპებით აღმერთებენ, გრძნობს თუ არა, რომ ისიც ამ ვარსკვლავურ რანგს შეუერთდა?

როულინგი პასუხობს, რომ – არა. თუმცა, – ასეთი ფაქტიც იყო – ბრიტანულმა ტაბლოიდებმა მწერალს წარსული გამოუქვეს და პორტუგალიაში მის ყოფილ მეუღლეს, ჟურნალისტ ხორხე არანტესს დაუკავშირდნენ (ასე ხდება ხოლმე ნამდვილ ვარსკვლავებთან მიმართებაში). ისიც მართალია, რომ როცა როულინგი ედინბურგში, საყვარელ კაფეში ზის და წერს, ფოტოგრაფები უკან დასდევენ, მაგრამ ყოველთვის ასე არ ხდება. „შეიძლება ედინბურგის ქუჩებში ისე ვიარო, ვერავინ შენიშნოს. ცნობილი სახე – ის სიტყვა არ არის, რომელსაც ჩემს თავს ვუწოდებდი“, - უარობს მწერალი.

დღეს 31 ივლისია – ჯეი ქეის დაბადების დღე. შეიძლება მას ნამდვილ ვარსკვლავობამდე მართლაც ბევრი უკლია – როგორც ჭეშმარიტი ვარსკვლავების დაბადების დღეებზე ხდება ხოლმე, ჯეი ქეი როულინგის საიუბილეო წვეულების გადასაღებად პაპარაცები თავებს არ განირავენ. თუმცა, 37 წლის როულინგი მაინც ყველა ვარსკვლავზე დიდი ვარსკვლავი გამოდის, რადგან ის ფენომენალური ჰარი პოტერის შემქმნელია, გმირის, რომელმაც თაობები მთელი მსოფლიოს მასშტაბით გააერთიანა.

## რომ არ ყოფილიყო კინგს-კროსი

არსებობს თუ არა დამთხვევა? ამბობენ და გვარწმუნებენ, რომ – არა. და მაშინ კიდევ უფრო საოცარი ნასაკითხი იქნება ეს შემთხვევითობები:

დაახლოებით 40 წლის წინათ, ნახევრადმოტლანდიელი და ნახევრადფრანგი ლაბორანტი ენ გვენი ლონდონის კინგს-კროსის სადგურში მატარე-

ბელში ჩაჯდა და ბრისტოლში გაემგზავრა, გზაში კომპანია „როლს-როისის“ ინჟინერი პიტერ როულინგი გაიცნო. რამდენიმე ხნის შემდეგ, იმავე კინგს-კროსის სადგურზე, პიტერმა ენს ხელი სთხოვა. მათ ოჯახში დაიბადდა ჯეი ქეი, რომელმაც პირველი მოთხრობა კურდღელზე, სახელად „კურდღელი, 5-6 წლის ასაკში დაწერა. გავიდა წლები, როულინგმა ექსეტერის უნივერსიტეტი დაამთავრა, ფრანგული ისწავლა, ერთი წელი ჰარიზშიც დაჰყო, შემდეგ ლონდონში დაბრუნდა, Amnesty International-ში მდივანად მოეწყო და ერთ დღესაც, როცა იმავე კინგს-კროსის სადგურის გავლით მანჩესტერიდან ლონდონში ჩავიდა, მატარებელში ჰარი პოტერის შექმნის იდეა დაებადა – ბიჭის, რომელიც იქნებოდა ჯადოქარი, მაგრამ ამის შესახებ თავიდან არაფერი ეცოდინებოდა.

დღეს ამ ლონდონურ სადგურს ყველა იცნობს. ზემოთ ჩამოთვლილ დამთხვევათა შემდეგ, სწორედ კინგს-კროსის სადგურიდან, პლატფორმა №9 –იდან გაემგზავრა ჰარი პოტერი პოგვარტის ჯადოსნობის სკოლაში სასწავლებლად...

რატომ მაინცდამაინც პოტერი? ბავშვობაში, ჯეი ქეის მეზობლად ცხოვრობდა პოტერების ოჯახი, რომელთაც ორი ვაჟი იყინ და ვიკი ჰყავდათ. ჯეი ქეი იხსენებს, რომ მართალია, ბიჭებთან ანუბილი ურთიერთობა არასდროს ჰქონია, მაგრამ გვარი პოტერი ყოველთვის მოსწონდა. ასე რომ, ჰარისთვის გვარი შემთხვევით სულაც არ მთუნიჭებია.

შემთხვევითობა არც ის ყოფილა, რომ როულინგმა ლონდონელი ლიტერატურული აგენტი, ქრისტოფერ ლიტლი დაიქირავა (უბრალოდ, მისი სახელი მოეწონა და იმიტომ). სწორედ ლიტლი გახდა ჰარი პოტერის წარმა-



ბრიტანელი ფანები ჰარი პოტერის პრემიერაზე



კადრი ფილმიდან

ტების მიზეზი. პირველად მან ახარა როულინგს, რომ გამომცემლობა Bloomsbury ნიგნის დაბეჭდვას აპირებდა.

## პირველიდან მეხუთემდე

„ჰარი პოტერი და ფილოსოფიური ქვა“ 1997 წლის ივნისში გამოქვეყნდა. პორტუგალიიდან მცირეწლოვანი ბავშვით დაბრუნებული, ქმარს გაყრილი ჯეი ქეი ნიგნს კაფეებში წერდა – ფინანსურ კრიზისის განიცდიდა, მოურიდებლად მოსეირნე თავგებით სავსე სახლს ვერ ათბობდა და ბავშვს სკვერებში, კაფეებში აძინებდა. პირველი ნიგნი მთლიანად ხელით დაწერა. მუშაობის დასრულების შემდეგ ქსერო-ასლების გასაკეთებლად საჭირო ფულიც ძლივს მოაგროვა. ბოლოს გამომცემლობებს დაურთია, მაგრამ ყველგან უარი მიიღო. ბოლოს ალაბედზე არჩეულმა აგენტმა ლიტლმა გაუმართლა – Bloomsbury-იმ ნიგნი ორი პირობით დაბეჭდა: როულინგს ნაწარმოები უნდა შემოკლებინა და სახელი ისე უნდა შეეცვალა – ვერავინ მიხვდარიყო, ავტორი ქალი რომ იყო. ასე გახდა ჯოანა-ქეთლინი ჯეი ქეი.

საცდელი ტირაჟი (700 ცალი) წარმატებით წავიდა. უკვე რამდენიმე თვის შემდეგ კი „ჰარი პოტერის“ პირველი ტირაჟის ერთი ნიგნი აუქციონზე 10 ათას დოლარად გაიყიდა. ახუ, დანყო აღმავლობის გზა. როულინგმა ბრიტანეთში მრავალი საპატიო ჯილდო მოიპოვა. მალე ართურ ლევენმა, კომპანია Scholastic Books-ის დირექტორმა ნიგნის ამერიკაში დაბეჭდვის უფლება ასტრონომიულ თანხად – 105 ათას დოლარად იყიდა. ნიგნის ამერიკული პრეზენტაცია 1998 წელს შედგა. „ჰარი პოტერი“ ბავშვებისა და დიდებისთვის განკუთვნილ ბესტსელერებს შორის ერთნაირი წარმატებით ლიდერობდა.

მეტეც, ბრიტანეთში ნიგნი სპეციალურად დიდებისთვის (უფრო სოლიდური ყდით) ცალკე გეზმულირებად გამოცემა, რათა ავტობუსებსა და მეტროებში ბრიტანულს არ შერცხვენოდათ, მოზარდებისთვის განკუთვნილ ნიგნს რომ კითხულობდნენ. ამ წარმატებამ როულინგს საშუალება მისცა, მასწავლებლობისთვის თავი დაენებებინა და უკვე სრული დატვირთვით ემუშავა.

პირველი ჰონორარის ადღის შემდეგ როულინგმა ას დოლარად ახალი პიჯაკი შეიძინა, რათა პრესკონფერენციებზე სათანადოდ ჩაცმული მისულიყო. ახლოვლებთან საუბარში კი იხუმრა, რომ სანამ 40 წლის შესრულდებოდა, შეიძლება, მილიონრიც გამხდარიყო. თუმცა, შეცდა – მას დღეს 37 წელი შეუსრულდა და ისტორიაში პირველი მწერალი გახდა, რომლის შემოსავლამაც მილიონ დოლარს გადააჭარბა.

მეორე, მესამე და მეოთხე ნიგნები 1998, 1999 და 2000 წლებში ივნის-ივლისში გამოვიდა და რაღაცნაირად ყოველთვის როულინგის დაბადების დღეს ემთხვეოდა. მეხუთე ნიგნის გამოცემაც ივლისისთვის იყო დაგეგმილი. თუმცა, როგორც ჩანს, მწერლის ფანტაზიებმა უმტყუნა და გამოცემა შემოდგომისთვის გადადო.

ერთი სიტყვით, ჰარი პოტერმა ჯეი ქეი როულინგის ცხოვრებაში მართლაც კარგი ფეხით შეაბიჯა. ახლა აღარც პატარა ჯესიკას სცივა და აღარც როულინგს უხდება ხელით წერა. და ბოლოს, ამერიკული „შეი-ენ-დღით“ როულინგმა სიყვარულიც იპოვა, შარშან 26 დეკემბერს ის ცოლად გაჰყვა დოქტორს, ნილ მიურესს. მწერალს შემოქმედებითი ბედნიერების განცდის შანსი მომავალშიც აქვს. კონტრაქტის მიხედვით, მან კიდევ მეექვსე და მეშვიდე ნიგნი უნდა დაწეროს. ასე რომ, ჰარი პოტერის გაგრძელება იქნება...

## რა იცის გაკერვებამ...

- პოტერების მოტლანდიელმა წყვილმა თავიანთ ორივე ვაჟს სახელი გადაუკეთა. ახლა მათ ოჯახში ორი ჰარი პოტერი იზრდება.
- კომპანია Coca-Cola 140 მილიონი დოლარი გადაიხდა იმისთვის, რომ ჰარი პოტერის სურათი Coca-Cola ქილებზე გამოეცხა.
- სათვალის მწარმოებელ კომპანია ახალ კოლექციებში შეაქვთ შავი ჩარჩოს სათვალე – ზუსტად ისეთი, ჰარი პოტერს რომ უკეთია.
- ამერიკული ზოომალაზიები მოსახლეობის მოთხოვნებს ვეღარ აუდიან. „ჰარი პოტერის“ ნაკითხვის შემდეგ ყველას ბუს შექენა სურს.
- როულინგის ნიგნები 40 ენაზეა თარგმნილი. მისი ნიგნების საერთო ტირაჟი 130 მილიონია.
- მარკეტინგის სპეციალისტების აზრით, ჰარი პოტერის სიმბოლოებით შემწილი სათამაშოები 1.5 მილიარდი დოლარის მოგებას მოიტანს (ამ თანხაში არ შედის მეკობრეთა მიერ გაყალბებული პროდუქცია, რაც, თავის მხრივ, ძალზე მომგებიანი ბიზნესია). ზოგიერთი პროდუქტის მიხედვით კი, ბანქოს ქალაქები, რომლებზეც როულინგის გმირები არიან გამოსახულნი, პოპულარობით უკემონსაც გაუსწრებენ, ჰარის თოჯინა კი – ბარბის.

# ახალი კლივი - ისევ სიყვარულზე და... დემოგრაფიაზე

დეუტი "ინტრო" "იმიჯ-ცენტრის" ამორძალებს მხსნელად ევლინება

## ნიუ სანია

თანამედროვე ქართული კლივი, რომელიც სვედიანი სიყვარულის ამბავს გადაუღებელი წვიმის მოშველიებით არ ასახავს, უკვე საინტერესოა. მართალია, დუეტ "ინტროსათვის" შექმნილი კლიპში სიყვარულის მარადიულ თემას გვერდი ვერც რეჟისორმა გიორგი რამიშვილმა აუარა, მაგრამ კლიპი მაინც ხალისიანი გამოვიდა...

არადა, ამ ხალისიანი კლიპის შექმნას ძალიან სვედიანი დასაწყისი ჰქონდა. სამი თვის წინ გადაძვლები ჯგუფის ავტორებს ავარია მოუვიდა. ავარიაში ოპერატორი - ნოდარ ფილიპოვი დაიღუპა, კლიპში მონაწილე "იმიჯ-ცენტრის" ხუთი მოდელი კი მძიმედ დაშავდა. ამ შემთხვევიდან ერთი თვის თავზე გადაძვლებმა ჯგუფმა ისევ მოახერხა ძალა მოეკ...

რიბა და გადაღება განეხლებინა. "იმიჯ-ცენტრის" მესვეურებმა კი საგანგებო შერჩევა მოაწყვეს და თავიანთი ორ გამოცდილ მოდელთან ერთად, ახალი სახეებიც წარუდგინეს გადაძვლებს ჯგუფს.

რეჟისორ გიორგი რამიშვილისთვის (სხვა ქართველი კლიპმეიკერებისაგან განსხვავებით, იშვიათი გამოწვევის გარდა), როგორც ჩანს, მნიშვნელოვანია ის აზრი, რომ კლიპი ხელოვნების ერთ-ერთი ფანრია, დრამატურგიული ნაწარმოები და აუცილებლად საჭიროებს ლოგიკურად გამართვას. მას უნდა ჰქონდეს თავის პროლოგი, კვანძი, კულმინაცია, კვანძის გახსნა და ეპილოგიც. სწორედ ამიტომ აქვს, ალბათ, ამ კლიპს დასრულებული სახე და შინაარსი. თუმცა, ნანატრი სიმღერის ტექსტისა და კლიპის შინაარსის თანხედრა არც ამ კლიპში გვხვდება. ასეთ თანხედრას ხომ დრამატურგი-

ულადვე გამართული მელოდია და ტექსტი ესაჭიროება, რაც, სამწუხაროდ, თანამედროვე ქართული ესტრადისათვის დიდი პრობლემაა.

სიმღერის ტექსტთან მეტ-ნაკლებად მიახლოებული ამ კლიპის სცენარი კი მართლაც სახალისოა: დუეტ "ინტროს" წევრებს (ვანიკო ფირცხალაიშვილი, გიორგი ქავთარაძე) ზღვაზე ამოვარდნილი ქარიშხალი ამორძალთა კუნძულზე მოახვედრებს. ამორძალ ქალებს ერთადერთი ბელადი მამაკაცი ჰყავთ. თავის დროზე, იქაური მამაკაცების ოთხი თაობა ბოროტ სულს წყველით გაუწყვეტია. ამის გამო, კუნძულის მოსახლეობა არ მრავლდება და გადაშენების საშიშროების წინაშე დგას. ამორძალ ქალებს წმინდა ქვაზე დახატული წინასწარმეტყველური წიგნი - ლმერთისაგან მოვლენილი ორი ცეცხლისმკერობელი მამაკაცი - მხსნელების ცოცხლად გამოჩენის

მოლოდინილი აიძვებდა. სწორედ ასეთ მხსნელად აღიქვამენ ისინი ქარიშხლისაგან კუნძულზე გარიყულ "ინტროლებს", ხოლო ერთ-ერთის ხელში გაეღებულ სანთებელის ცეცხლს, ღვთიურ ცეცხლად მიიჩნევენ და თაყვანისცემის ნიშნად მუხლებზე დაეშობიან. "ინტროლებსაც" რა ენაღვლებათ - უკან დასაბრუნებელ ტრანსპორტს რომ ვერსად ნახავთ, კუნძულზე დარჩენას გადაწყვეტენ. ერთ-ერთი (გიორგი ქავთარაძე) უფრო რომანტიული (თუ პრაქტიკული?!) აღმოჩნდება და თაობა ბოროტ სულს წყველით გაუწყვეტია. ამის გამო, კუნძულის მოსახლეობა არ მრავლდება და გადაშენების საშიშროების წინაშე დგას. ამორძალ ქალებს წმინდა ქვაზე დახატული წინასწარმეტყველური წიგნი - ლმერთისაგან მოვლენილი ორი ცეცხლისმკერობელი მამაკაცი - მხსნელების ცოცხლად გამოჩენის

ბოლოოდ კლიპის გმირები. კლიპის მუსიკალურ და ტექსტობრივ მხარეს რაც შეეხება, მას სხვა ქართული კლიპებისაგან ბევრი არაფერი განასხვავებს - ისევ ევრეთ ნოდებელი "ქართული სოულის" მორიგი გადამღერების მცდელობასთან გვაქვს საქმე. არადა, მაინც სასიამოვნოა, რომ ამ კლიპში არც წვიმს, არც ვინმეა დასვედიანებული; პირიქით, მზით განახლებული ურეკის სანაპიროს ფერითა გამის ფონზე, უდავოდ მიმზიდველ სანახაობას ქმნის საგანგებო ეკლექტურობით გამოწყობილი მზეთუნახავი ამორძალების (ზოგს ტყავის სამოსი აცვია, ზოგს - ჩრდილოელი ტომების ბუნვისა (კოსტუმების ავტორი ირინა გეგია) მშვენიერი როკვა. რაც მთავარია, ამ კლიპში თავად მომღერლებიც, რაიმე ბუნდოვანი კადრის თანხლებით, მიკროფონებთან სტატიკურად კი არ დგანან, ამ ნიმდროში მო-

რი-შორს მიმობნეულები ცნობილი რეპერული ხელების მოძრაობით კი არ კმაყოფილდებიან - როლებს ასრულებენ. როგორც ჩანს, თეატრალურ ინსტიტუტში მიღებულმა განათლებამ იჩინა თავი. კლიპში ბელადის როლსაც მსახიობი კახა სამუშია განასახიერებს, "იმიჯ-ცენტრის" გოგონებს კი, ამორძალთა როლში შესახველად, ეტყობა, ცენტრში გავლილი ფსიქოლოგიის კურსიდან გარდასახვის ტრენინგების გამოცდილება გამოადგათ. ყველაფერი ეს, რეჟისორის შემწეობით, მშვენიერ, დინამიურ კინოს მსგავს სანახაობად იქცა. ერთი სიტყვით, "ინტროს" სადებიუტო კლიპი მედვა. იმედია, მომავალში კარგ სანახაობასთან თანხვედრული შინაარსის სიმღერებთანაც გავახარებენ. "იმიჯ-ცენტრის" გოგონები კი, რაკი ამორძალობა შეძლეს, ალბათ სხვა კლიპებსაც წარმატებით დაამშვენებენ.



## ქალი საქონელი - ბრიტანელი სტილი

ბრიტანეთის ტრანსპორტის საინისტროს მიერ მომზადებული გამოკვლევებით, უახლოეს მომავალში, ბრიტანეთში მძღოლი ქალების რაოდენობა მამაკაცებს გადაჭარბებს. ამჟამად ქვეყანაში ქალების 60 პროცენტს საკუთარი ავტომობილი ჰყავს (ან, ოჯახის მთავარი მძღოლია), ხოლო უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში, მართვის მოწიპობის ქალებთან რაოდენობა ოცნი პროცენტით გაიზარდა.

ტანული ოჯახიდან ავტომობილი შეიძს ჰყავს; ხოლო, ყოველ მეოთხე ოჯახს ორი, ან ორზე მეტიც. თუკი მამაკაცების უდიდესი ნაწილი ავტომობილს იყენებს მარშრუტისთვის: სახლი - სამსახური - სახლი, მანდლოსებს ავტომანქანით ბავშვები დაჰყავთ სკოლებში და საყიდლებზე დადიან.

## ფრჩხილების ლაქი ბაქჰემისგან

ინგლისში უეცრად გაიზარდა მოთხოვნილება ფრჩხილების ლაქზე - ოლოდ, ლაქს ახლა მანდილოსნებთან ერთად, მამაკაცებიც ყიდულობენ და სხვათა შორის, ნორმალური ორიენტაციის.

უნივერსიტეტის ნარმომადგენელი. ინგლისის ნაკრების კაპიტანი კარგადაა ცნობილი თავისი ექსპერიმენტებით მოდაში. მაგრამ, ნამდვილი მოულოდნელობა იყო, როდესაც ფეხბურთელი პუბლიკას შედეგით ფრჩხილებით წარუდგა.

## რით გავახაროთ წვიმის ღმერთი

ხანგრძლივი გვალვის შემდეგ ჩრდილოეთ ინდოეთში, უტარ პრადეში ქალებმა გაიხადეს და ასე შეავედრეს წვიმის ღმერთებს თავიანთი მოსავალი. შიშველი ქალები ცდილობენ ღმერთ-

თებს თავი მოაწონონ და წვიმა დასტყონ. წლებანდელი გვალვა მეტისმეტად საშიშელი გაამოგდა, ასეთი სიციხე უკანასკნელი 12 წლის განმავლობასი არავის უნახავს.

## მოასწაროთ პირამიდების ნახვა

ადამიანის მიერ გათხსნიებული გარემო მისსავე საამყო ქმნილებებს ემუქრება. მსოფლიოს ერთ მეშვიდედ საოცრებას ახლა თურმე გრუნტის წყლები შეუდგა. კალიფორნიის უნივერსიტეტის პიდროლოგიის პროფესორი გრემ ფოგი და ევგვიტის სოპაგის უნივერსიტეტელი აპმედ აიშანი ამ პრობლემას ჩაპკირკიტებენ და პირამიდების ხსნას ეძებენ. "ფარაონთა საძებნელებს ყველაზე დიდ საფრთხეს უქანაზიყია და სოფლის მეურნეობის განვითა-

რება უქმნის," - დარწმუნებულია გულდამწვარი აიშანი. ჩანს, მას ნაპოლეონის ნაქები ორმოცსაუკუნოვანი ქვის ისტორიის მზერა ურჩევნია, ძლივს დანაყრებულ თანამემამულეებს. საკაცობრიო პატრიოტიზმი გატოლება ფოგმა იმით სცადა, რომ ასუანის კაშხალს გადაბარალა ყველაფერი. აიშანისა და ფოგის ჯგუფმა ახლა მთელი რეგიონის პიდროლოგიურ მოდელი შექმნეს, რომელიც საპროგრამო უზრუნველყოფით უდიდესია მსოფლიოში.

## ამერიკელ ბავშვებს სკოლაში ინტარნეტით ახვსახან


კომპანიის Pew Internet მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ ამერიკელები რჩევის მისაღებად ინტერნეტს აძვობენ. ამასთან, საუბარია ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებზე: სახლის შექმნა, სამსახურის შეცვლა და შვილებისთვის სკოლის შერჩევა.



გამოკითხულთა ნახევარმა აღიარა ინტერნეტის გადამწყვეტი როლი ბოლო დროს ყოველი მე-15 არჩევანის გაკეთებისას. შვილებისთვის სასწავლებლის შერჩევა 11-მა მილიონმა ამერიკელმა მიმართა ინტერნეტს, ხოლო 8 მილიონმა ამავე მეთოდით ახალი ბინა იპოვა.

## „მაგნიტური ხის“ ანტიმობილური სარკული

გიორგი ბახალაძე



“მაგნიტური ხე” - ასე დაარქვეს იაპონელმა მეცნიერებმა თავის ახალ პირმშოს. როგორც ყველა ზრდილ ადამიანს, მათაც აღიზიანებთ უზნეო მდლობელების მობილური ტელეფონების ზრიალი საკონცერტო, საკონფერენციო თუ თეატრალურ დარბაზებში. სწორედ ასეთ ნაგებობებში სიმშვიდის შესანარჩუნებლად, გამოიგონეს ხისა და მალატექნილოგიური მასალისგან დამზადებული სარკული. ასეთ შერს რადიოსიგნალის მიკროტალღების შთანთქმა შეუძლია. მართალია, აქა-იქ დარბაზთუხუცესებმა სცადეს სტუმართა დაცვა მობილურების ისტერიული ხმაურიდან, თუმცა უშედეგოდ. ისინი ელექტრონულ “მაყუჩებს” ამონტაჟებდნენ, მაგრამ რადიოხარვეზების მსგავსი გენერატორების გამოყენება აკრძალულია მაგალითად, აშშ-ში, დიდ ბრიტანეთსა თუ ავსტრალიაში.

იაპონიის ჩრდილოეთში, ივატის უნივერსიტეტის ჯგუფმა, პიდგოოკას თავკაცობით, გამოგონებას

ვარება ადგოკატის დახმარებით ურჩევნიათ. გამოკითხულთა მხოლოდ 15 პროცენტს მიუმატავს ინტერნეტისთვის ახალი რომანტიკული ურთიერთობების საძიებლად, ან პირიქით - ძველის შესწავლად. არც ერთს უფიქრიათ, გაყრის საქმეში კომპიუტერული რჩევა მიეღო. უამრავი იურიდიული საიტის მიუხედავად, სასამართლოსთან თუნდაც ერთხელ “შეხებულთა” მხოლოდ 13 პროცენტი დაინტერესებულა მათი რჩევებით.

მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ამერიკელებს მოსწონთ ინტერნეტი. მხოლოდ 1 პროცენტს ამფოთებს კომპიუტერული ვირუსების, პორნოგრაფიის და აზარტული თამაშების ქსელთა გავრცელება. ბოლო დროს უამრავი წერილი გამოქვეყნდა ინტერნეტ-მანიის საშიში ფენომენის შესახებ. მაგრამ, გამოკითხულთა მხოლოდ 2-მა პროცენტმა აღნიშნა, რომ მათი რომელიმე ახლობელი დიდ დროს კომპიუტერთან ატარებს.

ამ გამოკითხვაში 1415-მა ამერიკელმა მიიღო მონაწილეობა.

“მაგნიტური ხე” უბრალო მიზეზის გამო უწოდა. განსაკუთრებით იაპონელებისათვის, ხე ინტერიერის მოსაპირკეთებლად თუ გასალამაზებლად ყველაზე ბუნებრივი და ესთეტიური მასალაა. როგორც უწინაო New Scientist იტყობინება, მეცნიერები ხის მასალას ნიკელ-თუთიის ფერიტის მაგნიტური ნაწილაკებით აჯერებენ. ამ ნაწილაკებთან შეხებისას ელექტრომაგნიტური ტალღების მაგნიტური მდგენელი შთანთქმება.

ოთხ მილიმეტრიანი ფერიტის “ბუტერბროდი” - ხის ორ ზედაპირს შორის მოთავსებული მაგნიტური მასალის შრე, მობილური ტელეფონის სიგნალის ინტენსივობას 97 პროცენტით ამცირებს. ამასთან, რაც მეტია “ბუტერბროდის” ხის ზედაპირების სისქე, მით მალალისნიშნულ ტალღებს “ადუმებს” იგი.

ასეთი “სარჩულით გამოკერებული” კედლები ან კარები მობილური ტელეფონის მუშაობას შეუძლებელს გახდის. სწორედ, ეს იყო გამრჯე იაპონელების მიზანი და ისინი თამამად ჰპირდებიან თეატრალურ სამოთხისებურ სიჩუმეს.



საქართველოში ყველაზე

8-07

# სწოხილმა ქართულმა რეჟისორმა ნიუ-იორკის კულტურა მოხიზლა

კობა ლიკლიძე

პრეზ. სპეციალურად "გაზეთი 24 სათისათვის"

ნიუ-იორკის უდიდეს საკონცერტო დარბაზ "ლინკოლნ სენტერში" დიდი წარმატებით ჩაირიგებულაო დალიარებული მარიონეტების ქართული თეატრის გასტროლებმა. 66 წლის რეჟისორი რეზო გაბრიაძე ამერიკული მსახივრობის წინაშე ორი გახმაურებული სპექტაკლით წარსდგა - "სტალინგრადის ბრძოლა" და "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა", რომელთა მიმართ დაინტერესებულნი იყვნენ მთელი ნიუ-იორკის რეგიონის მსახივრობის წინაშე აღმოჩნდა გაყიდული. სპექტაკლების თაობაზე საინტერესო რეცენზიები დაიბეჭდა გაზეთებში "ნიუ-იორკ ტაიმსი" და "უოლ სტრიტ ჯორნალი", ხოლო 29 ივლისს, მარიონეტების თეატრის გასტროლებს საგანგებო რეპორტაჟი მიუძღვნა "რადიო თავისუფლების" ნიუიორკელმა კორესპონდენტმა ნიკოლა კრასტევიმ.

ბოლო ათი წელია, თბილისის მარიონეტების თეატრ-სტუდია ხშირად მართავს წარმოდგენებს ევროპულ თეატრებში, მაგრამ ამერიკას ცნობილი ქართველი რეჟისორი სულ მეორედ სტუმრობს. რეზო გაბრიაძის მიხედვით ნიუ-იორკის ლინკოლნის სახელობის ცენტრის მსახივრობაზე გადამწყობის, დაესრულებინათ სამკვირიანი კულტურული ფესტივალი, რომელიც წელს ამერიკის შეერთებული შტატები, ირანისა და სანქტ-პეტერბურგის ცნობილი დასები მონაწილეობდნენ.

"ლინკოლნ სენტერის" სცენაზე გაბრიაძის დასმა ორი სპექტაკლი წარმოადგინა: "სტალინგრადის ბრძოლა" და ქართულ ფოლკლორულ თქმულებაზე შექმნილი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა".

"სტალინგრადის ბრძოლა" ერთგვარი რეჟიჟიჟია იმ ათასობით ადამიანისადმი, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს რუსეთის ქალაქის თავდაცვას შეუწირნენ და იგი მარიონეტული ხელოვნების, კონემატოგრაფისა და პოეზიის სინთეზს წარმოადგენს. როგორც ჩანს, თავდაპირველად გაბრიაძე შიშობდა, შეძლებდა თუ არა ამერიკელი მსახივრობის წინაშე დასაგმობდა ამ სპექტაკლის ალტერნატივას, მაგრამ შემდეგ, როგორც რადიო "თავისუფლების" კორესპონდენტი აღნიშნავს, რეჟისორმა დასაკენა, რომ თოჯინების ენა, ისევე როგორც ადამიანური ემოციები, უნივერსალურია.

რეზო გაბრიაძე: "ადამიანი – ადამიანია. ის 44 უნთი ადამიანი-

ნის სახეზე, ყველგან ერთნაირია. ისინი ისევე უშუაშავებდა [იულიუს] კეისარს, როგორც მე, თქვენ და თანამედროვე მსახივრობებს. ჩანს, და ეს მე მახარებს, რომ თანამედროვე ამერიკელი მსახივრობის უაღრესად კეთილგანწყობილია. მას სურს საქმის არსს ჩასწვდეს. მისთვის ალბათ საინტერესოა, როდესაც ვილატ მათ ვოლგის ნაპირებზე გამართული ყველზე დიდი ბრძოლის შესახებ უყვება. და კარგია, რომ მათ ეს გულთან მიიტანეს."

რეზო გაბრიაძის შემოქმედებაში ასევე მხატვრობას, ქანდაკებას, პოეზიას და პროზას მოიცავს. რეჟისორი აღნიშნავს, რომ მისი ხელოვნების წარმართველი მოტივი სიყვარულია. და მიუხედავად იმისა, რომ 66 წლის რეჟისორის ფორმირება საბჭოთა პერიოდში მოხდა, ამერიკულმა კინემატოგრაფმა და ლიტერატურამ დიდი გავლენა მოახდინა მისი თაობის ჩამოყალიბებაზე. ცნობილ გეარებს შორის, როგორცაა მარკ ტვენი, ჩარლი ჩაპლინი, ფრედ ასტერი და ლუი არმსტრონგი, გაბრიაძე ჯონი ვაისმიულერის შესრულებით შექმნილ ტარზანსაც ასახელებს, რომელმაც კომუნისტურ სინამდვილეში თავისუფლების სულისკვეთება გააღვიძა.

რეზო გაბრიაძე: "მე ხშირად ვსაუბრობ ტარზანზე და ვცდილობ, გავერკვე, თუ რა ხდებოდა, რატომ დაგვიყრო მან ყველანი? ალბათ იმიტომ, რომ ჩვენს ირგვლივ დადიოდნენ ადამიანები, რომლებიც თავისი ჩაცმულობის მანერით და, შესაბამისად, სიარულის მანერითაც კი ავჯვს მოგაგონებდნენ. და ვნახეთ, ჯონი [ვაისმიულერი], ტარზანი. ვინ გაბედავდა სტალინის დროს, ხიდან ეყვირა? ეს გამორიცხული იყო."

რაც შეეხება ახალ თაობას, გაბრიაძის შეფასებით, მისი თაობისგან განსხვავებით, ახალგაზრდა ქართველ კინემატოგრაფისტებს საკუთარი ნიჭის ფართედ წარმოჩენის ბრწყინვალე შესაძლებლობა აქვთ.

რეზო გაბრიაძე: "ისინი, ვთქვით, კინოს წარმომადგენლები, მსოფლიო ენასთან ნილნაყარი ხდებიან. ჩვენ მსოფლიოს კულტურის კონტექსტიდან ვიყავით ამოგდებული და ამან შინაგანად, ძალიან ცუდად იმოქმედა ჩვენზე. ისინი, უკვე ენერგებან, უბრუნდებიან ამ კულტურას და მათი აზროვნება უკვე ზოგადსაკაცობრიოა. და მიუხედავად იმისა, რომ ყველა მიაღწევს, თუ არა საბოლოო მიზანს, თავად თავად ეს პროცესია ძალიან საინტერესოა."



სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით გაბრიაძე ამბობს, რომ არ აპირებს ახალი სპექტაკლის დადგმას, რადგან ცნობილ რეჟისორს და მწერალს დასამთავრებელი აქვს რომანი, რომელზეც იგი უკვე 25 წლის განმავლობაში მუშაობს

დაბოლოს, ნიუ-იორკის "ლინკოლნ სენტერში" გამართული პრესტიჟული ფესტივალი, 28 ივლისს, სწორედ ჩვენი თანამემამულის, რეზო გაბრიაძის სპექტაკლი - "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა" დასრულდა.

დაბოლოს, ნიუ-იორკის "ლინკოლნ სენტერში" გამართული პრესტიჟული ფესტივალი, 28 ივლისს, სწორედ ჩვენი თანამემამულის, რეზო გაბრიაძის სპექტაკლი - "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა" დასრულდა.

## მორიბი რეანიმაცია

მუსიკალურ ჟორიზონტზე „სანდას“ სილუატი გამოჩნდა

პერა ნაუარძიძე


4-5 წელიწადი საკმარისი დროა დასავლენად, მითუმეტეს, ისეთი ქართული მუსიკალური ჯგუფისათვის, რომელიც ქართული როკისთვის ნაყოფიერ პერიოდში (ჯგუფებისა თუ შემსრულებლების რაოდენობას ვგულისხმობ) მოღვაწეობდა. მათგან ძალიან ცოტა შემორჩა მუსიკალურ სარბიელს, უფრო ცოტა კი, - მუხსიერებას. რატომღაც მგონია, რომ "სანდა" გამოჩნდა.

ოთხი წელიწადია (მეტი თუ არა), ჯგუფს არაფრით მიუქცევია მსმენელის ყურადღება. "სანდა" სწორედ მაინც დაიშალა, როდესაც მათ ხმაურიან პროექტზე მთელი ქალაქი ალაპარაკდა. თუმცა, მოქმედა-მოქმედა ჯგუფს თან სდევდა. ჯერ იყო, ქალაქში ტყვიასავით გავარდა "სანდას" გაკადნიერების ამბავი, "შენ ხარ ვენახი" რომ იმდერეს, ცხადია, საკუთარი ინტერპრეტაციით... ადგილობრივი მუსიკალური წრეებისთვის არანაკლებ საინტერესო თემა გამოდგა "სანდას" და კამერული ორკესტრის თანამშრომლობაც. მაგრამ, პროექტი მსმენელმა ვერ შეაფასა, თუ არ ჩავთვლით, რომ ჯგუფმა საკონცერტო პროგრამიდან "ქარვას-ლაში" რამდენიმე ნომერი დაუკრა სიმფონიურ კვარტეტთან ერთად. უკანასკნელად ჯგუფი ბათუმში იხილეს სამდღიან კონცერტებზე. "ბათუმში ერას მოედნის გახსნაზე დაგვაპატიჟეს, იანვარში. კარგი ამინდი იყო, 12 ათასი მაყურებელი მოვიდა. ზღვა ხალხი რომ დავინახე, თავიდან შემეშინდა, მაგრამ საბოლოოდ

ვისიამოვნეთ" - იხსენებს ჯგუფის დრამერი, დიმა ასატუროვი.

ამჟამად ჯგუფი "ქართულ ჩანანერებში" მუშაობს. ჯერ-ჯერობით სერიოზული გეგმები და პრეტენზიები არ აქვთ. "უბრალოდ, ვიფიქრეთ რატომ უნდა დაიკარგოს ის კომპოზიციები, რაზეც მართლა ბევრი ოფლი დაგვიღვრია" - თითქოს, თავს იმართლებენ მუსიკოსები. თუმცა, სტუდიაში არა მხოლოდ ძველი სიმღერები იწერება. "სანდას" ოთხი კომპოზიციიდან ("ხორუმი", "ირლანდია", Return; მეოთხე ჯერ-ჯერობით სახელწოდება არ აქვს.), რომელსაც "ქართული ჩანანერები" ამზადებს, მხოლოდ "ირლანდიას" იცნობს მსმენელი (ნათია ნამგალაურის ვოკალი თავის დროზე დლორეს ორიორდანიას შეადარეს); სიმღერა რადიო-ეთერში ხშირად ტრიალებდა, თუმცა, ახალი ვერსია შემოკლებული და ოდნავ განსხვავებული იქნება. "გვაქვს რამდენიმე ჩანანერი, მაგრამ ვფიქრობთ, ჯერ არ ღირს მათი ეთერში დატრიალება. ამიტომ ვართ "ქართულ ჩანანერებში". თუმცა, ახლებური არანჟირება არ ნიშნავს მუსიკალური მიმართულებიდან გადახვევას - "სანდას" "სოფთ-როკისთვის" კვლავაც ფოლკლორი რჩება ღერძად.

ჯგუფის დამლიდან დღემდე მის წევრებს მუსიკალური მოღვაწეობა არც ცალკე და არც სხვა მუსიკოსებთან არ გაუგრძელებიათ. მაგრამ "სანდას" დრამერისა და ვოკალისტის, სოსო საყვარელიძის იდეას, გაეკეთებინათ ჩანანერები, დანარჩენებიც ენთუზიაზმით შეუერთდნენ. ასე რომ, "სანდა" ძველებურ ფორმავით



გაზეთი "ნიუ-იორკ ტაიმსი", 22 ივლისი

თოჯინების თეატრი პაროდირებული ფაქტებით აშუქებს ცხოვრებას

სელესტინ ბოლენი  
"რეზო გაბრიაძე მიიწვევს, რომ რეალიზმს არავითარი სარგებლობა არ მოაქვს. ეს ტყუილია, - ამბობს გაბრიაძე ლიბლით და ეს ლიბლი მის ფანტაზიასა და მახვილგონიერებაზე მეტყველებს."  
"ეს სპექტაკლები ოუმორით, სევდით, პაროდირებით და ზოგჯერ შთამბეჭდავი სილამაზით ასახავენ ცხოვრებას - იმ განცდით, რომელიც მოწყვებათ საქართველოდან, კავკასიის მთებში მდებარე პატარა ქვეყნიდან. ამ ქვეყნის მკვიდრი ხომ საბჭოთა პერიოდის ბნელ წლებშიც კი ცნობილი იყვნენ დიდი მგრძობიარობით, მძაფრი აქტითა და ხალასი ოუმორით."

გაზეთი "ნიუ-იორკ ტაიმსი", 29 ივლისი

თოკი, ტილო, ნაფოტი და ხასიათი ბრუს ვებერი

"დიდი ოსტატობით დამზადებული თოჯინები და დეკორაციები, გადაკრული ნაქვეში და სეველიანი ნარატოული ტონი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომაში" მიმზიდველი ოპტიმიზმით ავსებს."

"ჩვენ ექვნი სილამაზეს, - გვეუბნებიან გაბრიაძე და მისი მსახიობები." "გაბრიაძე იმ ოპტიმ ხელოვნანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც არავის გაგონებთ, რომლის ქმნილებაც ინდივიდუალულობით გამოირჩევა."

"მისი თოჯინები, ადამიანებიც და ცხოველებიც, საოცრად დახვეწილი და მშვენიერი არიან. ისინი არ არიან უსიცოცხლონი... და თუმცა ზოგი თოჯინა ჩონჩხს წაგავს ან უბრალო ტილოს ნაგლეჯისგან არის დამზადებული, ყველა მათგანი ნამდვილი ხასიათის მატარებელია, მდიდარი და ღრმა ხასიათისა."

"ეს ამაზე იგავია, რომელიც ერთმანეთშია გადაწეული ქართული ზღაპრები და გაბრიაძის მემუარები. როგორც რეჟისორი წერს, მის შემოქმედებას ყველაზე მეტად ბუბიის ნაამბობი ასაზრდოებს."

"ამბავი ტრაგიკულია... მაგრამ, პიესით გამოთქმული სევდის მიუხედავად, აქ არის მკაცრი ოუმორი, რომელიც დიდ ემოციებს იწვევს. ზორისს (ბორისი ჩიტია) ცხოვრება აერევა, იმიტომ რომ გული გაუტყდა. ნიწელი სიყვარულზე უარს ეუბნება. მიზეზი ნაყოფია: ნიწელი ხომ ადამიანია. "შენ ჩივი ხარ, ზორის, - ეუბნება ნიწელი, - მე კი ტუქუნწოვარი. არ გასოვს დარწმუნის კლასიფიკაცია? - ჩემი ნიწელი, განა რა ესმოდა დარწმუნს ნამდვილი სიყვარულისა?"

ნაცნობი შემადგენლობით: სოსო საყვარელიძე - ვოკალი, ბასი; დიმიტრი ასატუროვი - დასარტყამი ინსტრუმენტები; ნათია ნამგალაური - კლავიშები, ვოკალი; გია გაგუა - საქსოფონი. მაგრამ ჯგუფს საკონცერტო მოღვაწეობის ალსადგენად სერიოზული პრობლემა აქვს გიტარისტთან დაკავშირებით. საქმე იმაშია, რომ მათი აღმოჩენილი მუსიკოსი, გიტარისტი გოგა მახარაძე, რომლის გარეშეც "სანდას" მუშაობა უბრალოდ, არ უნდა, გურიაში ცხოვრობს. "გოგა ისე უცებ ჩაჯდა ჯგუფში, ძალიან გავოცდით ყველანი" - გოგა მახარაძე "სანდას" თბილისში, სტუდენტობისას დაუახლოვდა. მუსიკოსების თქმით, იმის გარდა, რომ ახალმა გიტარისტმა "სანდას" ალლო სწრაფად აულო, ჯგუფს ახალი კომპოზიციები შემატა და მის წევრებს გარკვეული სტიმული მისცა. ასე რომ, თამამად შეიძლება თქმა, "სანდას" მომავალი გოგას დგაბზუდან (სოფელია გურიასი) გადმოსახლებაზეა დამოკიდებული.

"სანდას" წევრები ჯერ-ჯერობით თავს იკავებენ სერიოზული პროექტების დაგეგმვაზე. თუმცა, დანარჩენი წევრებისგან განსხვავებულია ვოკალისტის, სოსო საყვარელიძის დამოკიდებულება. მუსიკოსი ცდილობს საკუთარი ოპტიმიზმი მეგობრებსაც გადასცეს და ჩანანერები მხოლოდ "გილიების მოსასმენად" (როგორც ჯგუფის დრამერმა გვითხრა) არ უნდა გააკეთოს; ეს ჩანანერები მისი აზრით, ჯგუფის დაბრუნების დასაწყისი უნდა გახდეს.

# ავინიონს აღმოსავლეთ ევროპელი „ნორაბი„ იპყრობენ

## „ლიტველი ოსკარას კორპორაციის, პოლონელი გეგმავი იაჟინა და რუსი ევგენი ბრიგოვსკი

დავით ბახრაძე

ავინიონში ჩვეული თეატრალური ციებ-ცხელებია. ყოველი წლის ივლისში აქ თავს იყრიან ცნობილი რეჟისორები, მსახიობები, პროდიუსერები, რათა განვლილი თეატრალური სეზონი პირდაპირ ღია ცის ქვეშ, მოედნებსა და სცენებზე შეაჯამონ. ავინიონის წლებადილი ფესტივალი, როგორც ყოველთვის, უმდიდრეს არჩევანს სთავაზობს მსაყურებელს - დაწყებული მსხვილმამტაბიანი და ეპიკური სანახაობებით, დამთავრებული კამერული, კორეოგრაფიული თუ ექსპერიმენტული სპექტაკლებით. სამხრეთ საფრანგეთის ისტორიული ქალაქი, სადაც ერთ დროს რომის პაპის რეზიდენცია იყო, დღეს თეატრალური ევროპის ეპიცენტრია.


ავინიონს არასოდეს აკლდა ტალანტები, მოყვანილი ლეგენდარული ჟან ვილარიდან, რომელმაც 1947 წელს საფუძველი ჩაუყარა შემდეგში უკვე ცნობილ ფესტივალს. პაპის სასახლის სცენას თავის დროზე ევგენებს მატებდნენ ჯორჯო სტრელერი, ლუკა რონკონი, ანატოლი ვასილევი, დანიელ მესგიში თუ მიტერ ბრუკი. 1981 წელს აქ ნამდვილი ტრიუმფი მოახდინა შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიურმა თეატრმა, რომელმაც იმზანად სენსაციური "კავკასიური ცარცის წრე" წარმოადგინა. ამავე დროს, აღსანიშნავია ავინიონის ექსპერიმენტული და მცირე თეატრები, სადაც ახალგაზრდა, შედარებით უცნობ რეჟისორებს საკუთარი ტალანტის გამჟღავნება შეუძლიათ.

2002 წელს ავინიონი ევროპის კულტურის დედაქალაქად გამოაცხადეს, რამაც ფესტივალისთვის დამატებითი ხარჯების გამოყოფა გამოიწვია. ფესტივალის დირექტორმა, დახვეწილმა ესთეტიკმა და თეატრის თეორეტიკოსმა ბენარ ჟევერ და არსიემ ბეერი საინტერესო თეატრი დაბატოფა აღმოსავლეთ ევროპიდან. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს საერთაშორისო პროგრამა "თეორემა", რომელიც ავინიონის ფესტივალის ეგიდით უკვე რამდენიმე წელია იმართება და მსაყურებელთა შორის წარმატებაც მოიხვეჭა.

წლებადილი ექსპერიმენტული პროგრამა აღმოსავლეთ ევროპიდან ისევე მრავალფეროვანია, როგორც დასავლური ძვირფასეული პროექტები. ჟაკ ლასალი, რობერტ ვილსონი და ქრისტოფერ მარტალერი ბოლო წლების ყველაზე სასურველი სტუმრები არიან. თუმცა სახელოვანთა ფონზე არ დანარჩუნდნენ აღმოსავლეთის ახლადგამოცხვარი რეჟისორები, რომლებიც ორგანულად ენერჯიან "თეორემის" აქსიომატურ ღირებულებაში - მთავარია სითამამე, ხარისხი და თანამედროვეობა.

მაშას, ავინიონის ნორჩი "ბრილიანტები": 30 წლის ლიტველი ოსკარას კორპორაციის, რომელიც სულ უფრო პოპულარულია დასავლეთში; პოლონელი გეგმავი იაჟინა, რომელმაც პარადიქსისა და ფსიქოლოგიზმის მჭვრავრებით გაითქვა სახელი და უნგრელი არაბა დილინიგი, რომლის უცნაური ესთეტიკაში ავინიონში ძვირად ფასობს. თუმცა მსაყურებელთა მხსიონებას დღემდე შემორჩა ვილსონის მომავალდებული სცენოგრაფია, მარტალერის პოეტური ირონია და ლასალის დახვეწილი აკადემიზმი.

"თეორემის" კიდევ ერთი აღმჩენა კომპოზიტორ ვარლოკოვსკი, რომელიც ვარშავის ცნობილი თეატრის "რომანიტიზმის" ერთ-ერთი აღმჩენაა. ავინიონს 32 წლის რეჟისორმა



სარა კეინის მიხედვით დადგმული "განწმენდა" წარუდგინა, რომელიც ბიბლიური თემებს საშაბუში წარმოადგენს. ვარლოკოვსკის მთავარი მეტაფორა ძალადობა და განწმენდა. სცენის სიღრმეში აღმართულია ბაზილიკა, რომელიც ამავე დროს საშაბუსაც მოგვაცნობს. სპექტაკლის გმირები ჯერ მიმდევრებიან, შხაპს იღებენ და შემდეგ აღსარებას ამბობენ. რასაკვირველია, ბლომად არის მოკისმობევერული ძალადობითა და სექსუალური "უცნაურობით" სავსე სცენები, მაგრამ ეს სპექტაკლი სწორედ სხეულისაგან განთავისუფლებაცაა, რომელიც ეგზისტენციალიზმსა და აქტუალურ იმორალიზმს თანაბრად ქადაგებს.

გეგმავი იაჟინას სპექტაკლი "ზიმი" ვარლოკოვსკის "განწმენდის" ანტიპოდი, მაგრამ მასვე უცნაურად ერთობება, რადგან ორივე სპექტაკლი დაგროვილი ცოდვებისაგან გათავისუფლებაც მოგვითხრობს. ერთი შეხედვით უბრალო ოჯახური თავყრილობა (სადაც მამის დაბადების დღეზე მთელი სანათესაო იკრიბება), იქცევა უფლის, ისტორიისა და მეხსიერების

გამოცდად, რომელსაც ოუბოლარი მამა ვერ უძლებს. უფრო მეტიც, სწორედ დაბადების დღეს, როდესაც ყველა ბედნიერი და კაყოფილია, აღმოჩნდება, რომ ოჯახის უფროსმა საკუთარი ქალიშვილი გააუპატიურა, ხოლო შემდეგში ქალიშვილმა თავი მოიკლა. სხვათა შორის, სპექტაკლი "დომის" ერთ-ერთი ფუძემდებლის, ტომას ვინტერბერგის ამავე სახელწოდების ფილმის სცენარის მიხედვით დაიდგა.

33 წლის გეგმავი იაჟინა დღეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პერსონაა პოლონურ თეატრში. მისი სტილია ფსიქოანალიტიკური დეტალეები, ალესილი სარკაზმი და თეატრალური ენის სიახლე. და ბოლოს, რიტმული და მუსიკალური თვალსაზრისით მისი სპექტაკლები ყოველთვის ზუსტია, ხოლო კრიტიკოსები ერთმანედ აღიარებენ, რომ გერმანი თეატრალებისათვის იაჟინა წამდვილად ნუგბარია.

"თეორემის" ეგიდით წელს ავინიონმა კიდევ ერთი უცნობი დაავიწყებია - 36 წლის ევგენი ბრიგოვსკი, რომელიც თანამედროვე რუსუ-

ლი თეატრის ყველაზე ეგზოტიკური და გამორჩეული პერსონაა. იგი ოხზავს პიესას, თავადვე ყვება სცენაზე და თავად ქმნის დეკორაციებს. მისი ახალი ტექსტი-მონოლოგი თუ მონოსპექტაკლი სახელწოდებით "პლანეტა" უკვე დაავიწყდეს რუსეთის ყველაზე პრესტიჟული თეატრალური პრემიით, "ოქროს ნიღაბი". გრემკოვეცი ისევე უცნაური და გამოკვებულია ავინიონისათვის, როგორც მარშან "სამეფო უბნის თეატრში" შეკრებილი თბილისელი მსაყრებლისათვის. მარშან, ნოემბერი "რე-არტ-გრუპის" პროგრამის ფარგლებში იგი მოსკოველ მსახიობებთან, მუსიკოსებთან და პოეტებთან ერთად წარდგა მსაყრებლის ნინაშე მონოსპექტაკლი "ოდნოვრემენო" და მონონებაც დაიმსახურა. "თეორემამ" ისევე როგორც სხვა აღმოსავლეთ ევროპულმა პროექტებმა ავინიონს მართლაც დაუვიწყარი თეატრალური დღეები აჩუქა. ფესტივალი კი ორ კვირაში დასრულდება.

# არიკო ბენაშვილის Rock - info

Deep Purple სექტემბერში გრან-დიოზულ პრიტანულ ტურნეს გემავს. იან გილანის ვებ-საიტზე გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, როგორც კონცერტებზე მსმენელი სცენაზე კლავიატურისტის როლში კვლავ ჯონ ლორდს იხილავს. ლორდმა მისი უცნობი როლის გაუარსების გამო მიატოვა Deep Purple, სადაც მისი ადგილი წარსულში რიჩი ბლეკმორის Rainbow-ის ნევერმა დონ იერიმ დაიკავა. ჯგუფიდან ჯონ ლორდის წასვლით ახალი სტუდიური ალბომის ჩანერა, რომელიც წლეულის იყო დაგეგმილი, მინიმუმ ერთი წლით გადაიდო. როგორც ჩანს Deep Purple-ის დისკოგრაფიას მომავალში კიდევ ერთი კლავიატურისტის გვარი დაამშვენებს.

Jethro Tull-მა ახალი ალბომი, Living With The Past გამოსცა. 30 წლის წინანდელი Living In The Past-ისგან განსხვავებით, იგი საკონცერტო და ჯგუფის მოღვაწეობის უკვე 34 წელს ასახავს. დღევანდელი შემადგენლობის გარდა იან ანდერსონმა სცენაზე Jethro Tull-ის სხვადასხვა პერიოდის მუსიკოსებსაც მისცა დაკვრის საშუალება. მათ შორის ბასისტ გლენ ჟორნიკს, დრამერ კლაივ ბანკერსა და რაც მთავარია გიტარისტ მიკ აბრაჰამსს, რომელსაც ჯგუფის მხოლოდ პირველი ალბომის ჩანერაში ჰქონდა მიღებული მონაწილეობა. Jethro Tull-მა აქამდე საკონცერტო შესრულების ორი ალბომი ჩანერა. 1978 წელს ვინილის ორი დისკისგან შემდგარი Bursting Out და 1992-ში A Little Light Music.

საკმაოდ საინტერესო გამოდგა ორი როკ-ვიკალისტის გლენ ჰიუზისა და ჯო ლინ ტურნერის ახალი ალბომი Hughes/Turner Project, რომელშიც გლენ ჰიუზი მომღერლის ფუნქციას ბოლო წლებში ერთმ მიიწვეებულ მას- გიტარისტის როლსაც უთავსებს. ალბომი სწორედ ამიტომაცაა, რომ ალბომი მეტისმეტად "ბასურადაა" ჩანერილი და ამ შრივ ერთგვარად ნსიანების ბოლოსა 70-იანების დასაწყისის საუნდს მოგვაკონებს. ალბომმა განსაკუთრებული პოპულარობა იპოვინაში ჰპოვა, სადაც პიტ - პარადებში გამომრჯავა კიდევ. ამის საბასუხოდ დუეტი სასწრაფოდ გაემგზავრა ტურნეში ოკეანის გაღმა, ხოლო სცენაზე შემსრულებლებად კი იპოვნული მუსიკოსები მიიწვია. კომპოზიციური თვალსაზრისით ალბომმა სამწუხაროდ ახალი იდეები ვერ შემოგვთავაზა.

იტალიელი გიტარისტის დარო მოლოს შესახებ ჰარდ-როკ-ის სამყაროში ჯერ კიდევ 1981 წელს ალაპარაკდნენ, როდესაც ახალგაზრდა ტალანტის შესაძლებლობები Thin Lizzy-ის, Cradle of Filth-სა და UFO-ს პროდიუსერმა კიტ ვუდეგენმა შენიშნა. თანამშრომლობის შემდეგი წლები დარო მოლომ ისეთ სახელებს დაუკავშირა, როგორცაა გლენ ჰიუზი, დონ იერი, გრემ ბონეტი და წარსულში Black Sabbath-ის მომღერალი ტონი მარტინი, რომელთან ერთადაც ჩანერილი ერთობლივი ალბომი "Cage 2" 2002 წლის ერთ-ერთ საინტერესო ჰარდ-როკ ნაწარმოებდაც იქცა. პროექტი "Cage 2" ხუთ მუსიკოსს მოიცავს: დარო მოლო - გიტარა, ტონი მარტინი - ვოკალი, ტონი ფრანკლინი (წარსულში ჯიმი პეიჯის და პოლ როჯერსის Firm და Blue Murder) - ბასი, დარო პატი - კლავიატურა, რობერტო ელნიშენის ლირსია ალბომის გახსნა

Terra Toria და ჯიმი პეიჯის ცნობილი როკ-კლასიკა Led Zeppelin - ის პირველი ალბომიდან "Dazed And Confused". დარო მოლოს დახვეწილმა ტექნიკამ და უმძლავრესმა გიტარერიზმმა, ტონი მარტინის ვოკალის ფართო დიაპაზონთან შენახებაში კი არ დაამახინჯა დიდი როკ-კომპოზიციის სახე, არამედ მინიმალური იმპროვიზაციის თანხლებით, ჩანაწერის ზეთიანადმდროვე ხარისხის პირობებში, განსაკუთრებული ელფერი შესძინა მას.

რონი ჯეიმს დიოს ახალი ალბომი "Killing The Dragon" ახალი მუსიკალური იდეებით ნამდვილად არ გამოირჩევა. უბრალოდ, ვისაც მოხსნის დიო, ამ ალბომსაც ყოველგვარი ძალდატანების გარეშე გაეცნობა და საკმაოდ მოწონება ისეთი სიმღერები, როგორცაა "Killing The Dragon" და "Scream". ამ უკანასკნელში დიოს ეოკალი განსაკუთრებული სიმღავრით გამოირჩევა, ხოლო ჯერ კიდევ "Rainbow" - დან დიოს ძველი პარტნიორი ბასისტი ჯიმი ბიერი კვლავ შესანიშნავი ალბომით გამოირჩევა და დრამერ საიმონ რაიტთან ერთად რიტმ - სექციას მშვენიერად წარმოადგენს.

მაგრამ დიოს როგორც კომპოზიტორს, მომავალში რაღაცის შეცვლა ნამდვილად მოუწევს, რადგან მისი იდეები, როგორც ალბომის მთლიანი მუსიკალური რეპერტუარის, ისე ტექსტობრივი თვალსაზრისით საკმაოდ მოძველებულია. ერთადერთი იდეური სიახლე, ისიც თემატური, სიმღერა Rock and Roll - ში შეიძლება მოეძიოთ, რომელიც ამერიკის 11 სექტემბრის ტრაგიკულ მოვლენებთანაა დაკავშირებული. ფანრობრივად Rock and Roll - ს არაფერი აქვს საერთო დასახელებასთან. იგი გაცილებით ახლოს Led Zeppelin-ის Kashmir - თან დგას. მაგრამ ამ კომპოზიციის მიზანმიმართული მავალითები აქამდე არაერთხელ ვესმენია.

აღსანიშნავია DIO -ს არსებობის ისტორიაში რგით მეექვსე გიტარისტის - დუგ ოლდრიჯის გამოჩენა, რომელიც ისეთივე ტექნიკური და "დაქოქილია", როგორც მისი წესისმიერი წინამორბედი ვივიენ კემპბელის გამოკლებით, რომელიც არამარტო ამ თვისებებით ხასიათდება.

რობერტ პლანტმა თავის ბოლო ალბომი Fate Of Nations ხომ 1993 წელს ჩანერა. ალბომი Dreamland მართლაც ოცნებების სამყაროში გვიმეფს, რადგან იგი ფსიქოდელიური პირობებში გატარებული, წლების მანძილზე დაბრძენებულ რობერტ პლანტს წარმოგვიდგენს, რომელიც, როგორც ჩანს საკმაოდ გატაცებულია მსოფლიო ეთნიკური მუსიკითა და 21-ე საუკუნის ელექტრონიკით. ალბომის "პოპას" ნამდვილად ვერ ვუნოდებთ, თუნდაც მასში შემავალი სიმღერების ავტორების ვინაობაზე გამოვლინარე. აქ გვიხვდება ბობ დილანის "One More Cup Of Coffee"-ს, ტიმ ბაკლისა და ლარი ბეკეტის "Song To The Siren"-ს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ოთხი წამილობის შემდგარი ბლოუზური კომპოზიციის Win My Train Fare Home (If I ever Get Lucky), რომელიც გამოჩნდა რობერტ პლანტის იდეური მამების -რობერტ ჯონსონის, არტურ რუდულისა და ჯონ ლი ჰუკერის გავრეტი. ალბომის ხსნის Funny In My Mind (I Believe I'm Fixin To Die), რომელიც ჯგუფის წევრების მიერ არის დაწერილი. შემადგენლობა კი შემდგენლობა: რობერტ პლანტი - ვოკალი, ჯუსტინ ადემსი - გიტარა, ჯონ ბაგოტი - კლავიატურა, კლაივ დემერი - დრამი, ჩარლი ჯონსი - ბასი.

# იოსიფ ბროდსკი და რაჟისორის ურველო ანიმაცირი სიხლა

ფილმი პოეტის ლექსების, ნახატებისა და პირადი არქივის მიხედვით შეიქმნა

თამარ სხივნილი

რუსული მულტიპლიკაციის ცოცხალმა კლასიკოსმა ანდრეი ხრუჩანოვსკიმ როგორც იქნა დაასრულა დიდი ხნის ნანატრი ფილმის გადაღება. "კატანახევარი: ეტიუდები იოსიფ ბროდსკის ნაწარმოებების მოტივებზე" - ასე ეწოდება ამ სურათს. ხრუჩანოვსკი 1962 წლიდან მუშაობს "სოიუზმულტფილმში" და მრავალი საინტერესო სურათის ავტორია.

რეჟისორის შემოქმედება მძაფრი ფილოსოფიური ლირიზმით გამოირჩევა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებო და, ამავე დროს, ყველაზე პოპულარული ქმნილებაა "სახლი, რომელიც ჯეკმა ააშენა".

ხრუჩანოვსკის შემოქმედების თავისებურებებიდან გამომდინარე, ბროდსკი რეჟისორისთვის ძალიან ახლოებულია თავისი ინტონაციებით, მსოფლხედვით. რეჟისორის სწრაფვა ანიმაციური სიახლეებისაკენ კი საყოველთაოდ ცნობილია: ხრუჩანოვსკი ანიმაციაში ნოვატორად გვევლინება, ამსხვრევს ტრადიციებს და გამუდმებით ეძიებს მულტიპლიკაციისთვის ახალ გამოსახველობით და ტექნოლოგიურ საშუალებებს.

ახალი კინემატოგრაფიული სუ-



რათი ანიმაციური და დოკუმენტური კინოს და თამაშის ელემენტების ნახავს წარმოადგენს. ის არც პოეტის სტილს დასტოვებს, აქ დაცულია როგორც სახეობრივი სტრუქტურა, ისე ლექსის არქიტექტონიკა. ეს არის ის ძირითადი პრინციპები, რომელთა გათვალისწინებით არის აგებული ხრუჩანოვსკის ფილმი.

ზედ შეეხება ფილმის ტექნიკოლოგიას, ის ძალიან რთულია: გაცოცხლებულია დოკუმენტური კადრები და მავ-თეთრი ფოტოები, რომლებიც კომპიუტერული შესაძლებლობების წყალობით მოძრავ-სურათებიან არაჩვეულებრივ კოლექტის ქმნიან. ფილმის ერთი ეპიზოდი და მავრერებლად გვიმტკიცებს იმასაც, რომ ნაპოვინა დაკარგული ფირი, თავის დროზე პოეტის მამამ რომ გადაუღო თავის გაქს, მცირენლოვან იოსიფს.

ფილმში წარმოდგენილი ეტიუდები ბროდსკის ავტობიოგრაფიულ პროზას, მის რჩეულ ლექსებს, მახვილგონივრულ ნახატებსა და არქივიდან მოძიებულ ფოტოებს ეყრდნობა.

კატას სულ არ ადარდება, რას აკეთებს ცეკას პროპოგანდის განყოფილების საზოგადოება "ოქ"-ი, უფრო მეტიც, მას საკეთოდ არ აინტერესებს, არსებობს თუ არა ეს საზოგადოება და ისიც კი

არ იცის, ვინ არის ამერიკის პრეზიდენტი. რითი მჯობია კატა? - ასეთ შეკითხვას სვამს ბროდსკი. ფილმის მთავარი გმირი შექმნის იდეას საფუძვლად უდევს ანა ახმატოვას ხუმრობა, რომ მისი დიდი კატა, უფრო სწორად კატა კი არა, კატანახევარი ძალიან ჰგავს ბროდსკის ხრუჩანოვსკის მთავარი პერსონაჟი უდავლად (დახატული კატა) ზედგამოჭრილი პოეტია.

ეს კატა სხვებთან ერთად უყურებს ფილმს ტარზანზე (სხვა მსაყრებლები ჩვეულებრივი ადამიანები არიან), ტარზანი ხომ საბჭოთა და მანს თავისუფლების სიმბოლოდ ესახება. პოეტი პარადიქსულ დასკვნამდე მიდის: "ჩვენი ინდივიდუალიზმით ჩვენ უფრო ამერიკელები ვიყავით, ვიდრე - თვით ამერიკელები". ფილმში ბევრი საინტერესო და თანაც პაროდული ეპიზოდები შემოიძინა, მაგალითად, როგორ მისდევს ყველაზე პატარა კრანხანს დასაქვრად ლენინის ხელგაყვერილი ქანდაკება, რომელსაც მისი ქვამარიტ გზაზე დაყენება აქვს განზრახული.

როგორც ხრუჩანოვსკი ამბობს, "სურათის უნიკალურიბა იმში მდგომარეობს, რომ ეს არის პირველი კინოქმნილება, რომელიც პოეტის ლექსების, ნახატებისა და პირადი არქივის მიხედვით შეიქმნა."





პრეს-ვიუს


პოტოს, ტაქსის მძღოლისა და "ოპერაზის" ანგარი

ლაშა ბულაძე

ლაშა. ტაქსი ვარაზისხევიდან ამოუხვევს. მანქანაში სხედან: ბუნებრივია, მძღოლი და ახალგაზრდა - ყმაველი - ჯერ ყიდევ მოზარდი - სტუდენტი პოტო.

ტაქსისტთა უკედავი მონოლოგი ტაქსის მძღოლი. ამასწინებზე მივდივარ ჩემთვის და ვხედავ, აი, ავერ, გაჩერებაზე ქალი დგას. ლამავე თან. რო შევედვ, ისეთი, ჩვეულებრივი ნესიერი ქალი იყო, ასე - პად სორკო. ხელი დამიქნია. ნუ გავუჩერე, ბუნებრივულად. (ამ ქვეყნის დედა რო მო... ისა მართლაც, მე რო ტაქსე და-მაჯინა! იხეიერი კაცი ვარ, მეილო, გამოთვლით ცენტრში ვმუშაობდი წლებების განმავლობაში. ამ ცხოვრებას და მენ ჯვარი გნერია - მთავრობას რა ვუთხარი, თორე - ფულიც მქონდა და ხალხის პატივისცემაც შემეძლო, დედა ისა მე ამათი, დედა(იკინება)

პოტო. (უხერხულად) აბა... ტაქსის მძღოლი. (აგრძელებს ტაქსისტთა უკედავი მონოლოგს) ...მოკლედ, იმ ქალმა ხელი ამინია და გავუჩერე, როგორც ნესი და რეგია, ჩამიჯდა, ნუცუბიძეზე ამიყვანეთ. მეტი - კი ბატონო, ნესიერი ქალი ჩანს. რას ვიფიქრებდი? ჩემი უმცროსი ძმა ხარ და მენ ჯვარი გნერია - ხელი ვადმომაღალავითი. ვა! მეტი - შენი ბოზი ასე და ისე, სამუშაოზე ვარ, რა დროს ვეგებოდა, ბებიათ მერგებოდა... (ეპიზოდის გაგრძელება უხერხულად, ცდილობს ვანაზოცადოს) ვაფუქცა ქალაქი, იმდენი გოთვერანი დადის ლამ-ლამობით, რომ ყველას გეფიცები, მეშინია მანქანის გამოყვანა. ავერ, კულდით დავდივარ. ერთხელ, შეხედა ბჭი ჩამიჯდა და უკან, ვარკეთილში წამიყვანეო, შუა გზაში ვიყავით, რო შენ ჯვარი გნერია და - დანა მომადო, ფული მომეო. ეხლა მე რა ფული უნდა მქონდეს: ძლივს ოთხი ლარი, პა და პა, ისიც ბენზინის. ამოვიღე ვიბიანი და მივბრუნდი, მაგრამ მძღოლმა არ მიბერუნებულყავი - ჩემი ნესიერი არ აღმოჩნდა, ირაქლი! ვაი, გრძობა ძია თქვენა ხართო (მე გრძობა მქვია და)? თვალბებთან, როგორც იტყვიან, ცრემლი მომადგა: მეტი, ბიჭო, მე შენ ნესიერი კაცი მომინახარ და თურმე ბანიტი ყოფილხარ! არ და-გინაზღავ - მსუბუქად ვცემე. ვიფიქრე, მორჩა, აღარც ეს ტაქსი მინდა, აღარც ეს ქვეყანა, ნავალ რუსეთში, რამეს მინც ვქნავ. მაგრამ, მეილო, მეც ხო კაცი ვარ, როგორც ტელევიზორში ამბობენ, რელაქსაცია მეც მჭირდება. მიელი დღე რო მანქანაზე ხიხარ, გისივდება ეს ოხერი ჯვარკლები და რა უნდა ქნა! მივდივარ ცირკთან - მეტიც, გოგონებს ვავახარებ, მაგრამ ნეტა არ მივსულიყავი. ასარჩევად რო ჩავიკარე, ერთმა ერთერთთავანმა მიიქცია ჩემი ყურადღება... მივედი ახლოს და კინადამ გული გამისცტა: ჩემი მამიდამვილი, გულიყო არ აღმოჩნდა! არ და-



ლაშა ბულაძის ნახატი

გიმალავ - ისიც მსუბუქად ვცემე. სწორედ გულიკოსაგან შევიტყე, რომ მამიდამვილის ქმარი - ალომა ბიძია ქაშვითან რო მიწისქვეშაა, იქ ზის ყველას გეფიცები, მეშინია მანქანის გამოყვანა. ავერ, კულდით დავდივარ. ერთხელ, შეხედა ბჭი ჩამიჯდა და უკან, ვარკეთილში წამიყვანეო, შუა გზაში ვიყავით, რო შენ ჯვარი გნერია და - დანა მომადო, ფული მომეო. ეხლა მე რა ფული უნდა მქონდეს: ძლივს ოთხი ლარი, პა და პა, ისიც ბენზინის. ამოვიღე ვიბიანი და მივბრუნდი, მაგრამ მძღოლმა არ მიბერუნებულყავი - ჩემი ნესიერი არ აღმოჩნდა, ირაქლი! ვაი, გრძობა ძია თქვენა ხართო (მე გრძობა მქვია და)? თვალბებთან, როგორც იტყვიან, ცრემლი მომადგა: მეტი, ბიჭო, მე შენ ნესიერი კაცი მომინახარ და თურმე ბანიტი ყოფილხარ! არ და-გინაზღავ - მსუბუქად ვცემე. ვიფიქრე, მორჩა, აღარც ეს ტაქსი მინდა, აღარც ეს ქვეყანა, ნავალ რუსეთში, რამეს მინც ვქნავ. მაგრამ, მეილო, მეც ხო კაცი ვარ, როგორც ტელევიზორში ამბობენ, რელაქსაცია მეც მჭირდება. მიელი დღე რო მანქანაზე ხიხარ, გისივდება ეს ოხერი ჯვარკლები და რა უნდა ქნა! მივდივარ ცირკთან - მეტიც, გოგონებს ვავახარებ, მაგრამ ნეტა არ მივსულიყავი. ასარჩევად რო ჩავიკარე, ერთმა ერთერთთავანმა მიიქცია ჩემი ყურადღება... მივედი ახლოს და კინადამ გული გამისცტა: ჩემი მამიდამვილი, გულიყო არ აღმოჩნდა! არ და-

ბიჭია თუ გოგო? პოტო. (არ ელიძება, მაგრამ გაი-ღიმებს) ბიჭი. პირველი "ოპერი". ხო არ იჩხი-რავდით იქა, ა? პოტო. არა, როგორ გეკადრე-ბათ? პირველი "ოპერი". მე რა მკადრე-ბათა, ბიჭო! ტუტუტო შენა, დაბო-ლილი ხო არა ხარ, როგორ მელაპა-რაკები? მეორე, ჩასუქებული "ოპერი". საბუთები მაჩვევს. პოტო. (აკანკალებული ხელებით ამოიღებს პირადობის მოწმობას) აით. მეორე, ჩასუქებული "ოპერი". (რის ვაი-ვაგალაბით წაიკითხავს გვარს) პოტო... თაქე. პოტო პოტოაქე. რა არი, ლექსია, ტო? პოტო. (ცდილობს გაიღიოს) პი-თი. პირველი "ოპერი". სად ცხოვ-რობ? პოტო. ბაგეში. "ოპერი". უშანგა შოთაქეს იც-ნობ? პოტო. (როგორ უპასუხოს, არ იცის) როგორც თქვენ გავხიარდე-ბათ. "ოპერი". რობინზონას, ბაგე-ბელს? პოტო. კი, არა... "ოპერი". სად მუშაობ? პოტო. ტელევიზიაში... მეორე, ჩასუქებული "ოპერი". (კბილებს ვადმოყრის) ია ფარულა-

ვას იცნობ? პირველი "ოპერი". ფურნალის-ტი ხარ? პოტო. წამყვანი... "ოპერი". რა მიყავს? პოტო. "ნიორი ტალანტები". გ-დაცვმა ასეთი. "ოპერი". არ მინახავს... ხო არ კ-იფობ? პოტო. კაით, რა... მეორე, ჩასუქებული "ოპერი". ნესიერად ლაპარაკე, ბიჭო! პირველი "ოპერი". (ეწყება შე-კითხვათა ტუტუტო ავინია) რმ-დენი წლის ხარ? პოტო. ოცდასამის... "ოპერი". მამაშენი სად მუშა-ობს? პოტო. არსად. "ოპერი". მკეტარია? პოტო. არა. "ოპერი". ცოცხალი? პოტო. კი. "ოპერი". უცხოეთში თუ ხარ ნამ-ყოფი? პოტო. კი. "ოპერი". სად? პოტო. პოლონეთში და... "ოპერი". და - სად? პოტო. ... უხერხემლი. "ოპერი". რატომ? პოტო. ისე... მეორე, ჩასუქებული "ოპერი". "ისე" რა პასუხია, ბიჭო! პირველი "ოპერი". რომელი სკოლა დაამთავრე? პოტო. ას მეთერთმეტე. "ოპერი". ეგ სად არი? პოტო. საბურთალოსე... "ოპერი". ზაფხულში სად მიდი-ხარ დასასვენებლად? პოტო. აღბათ, ქობულეთში. "ოპერი". რატომ "აღბათ"? პოტო. ვაიქე... "ოპერი". და, რატომ ქობულეთ-ში?

პოტო. რა ვიცი... "ოპერი". რეჯერ ექვსი? პოტო. არ მახსივს... (შესაძლოა, გული წაუვიდეს) პოტო. ას მეთუნას ქონდა ოთხი ვაშლი. აქედან ერთი აიღო ზაზამ. რამდენი ვაშლი დარჩა ხათუნას? ამოცანაა. პოტო. ორი? "ოპერი". ორი არა - იხვი! პოტო. სამი. "ოპერი". ყოფიერების საიდუმ-ლოს ამოხსნა თუ შეგიძლია? პოტო. ამწუხას?! "ოპერი". არა, ბებიაშენისამ, ხედა! პოტოს, თქვენ ჯვარი გყრიათ და, გული წაუფა. ტაქსის მძღოლი მანქანიდან ვადმოყვებს თავს. მძღოლი. მოკალით არა ბაგეში? პოტო. პოტო... მეორე, ჩასუქებული "ოპერი". (პირველს) აი, რა შედეგი მოაქვს პლატონის "დილოგების" კითხვას. მერე სუ შეკითხვების დასმა გინდ-ბა... სოკრატესავით.

TV პროგრამა 31 ივლისი

Table with TV program schedule for 31 July, listing channels and programs.

პირველი არხი

Table with TV program schedule for the first channel.

მეორე არხი

Table with TV program schedule for the second channel.

მესამე არხი

Table with TV program schedule for the third channel.

მეოთხე არხი

Table with TV program schedule for the fourth channel.

მეხუთხე არხი

Table with TV program schedule for the fifth channel.

ატარის ტელევიზია

Table with TV program schedule for ATARIS TV.

VII არხი

Table with TV program schedule for Channel VII.

PTP

Table with TV program schedule for PTP.

საქართველოს ტელევიზია

Table with TV program schedule for Georgia TV.

მეხუთხე არხი

Table with TV program schedule for the fifth channel.

Large table with columns for 'საქართველოს ტელევიზია' and 'საქართველოს ტელევიზია' containing various program details and schedules.